

სახელი, გვარი, ტელეფონი _____

სკოლა _____

მასწავლებელი _____

დავალება ფასდება 2 ქულით

1. კატომ ორი სხვადასხვა ორნიშნა კენტი რიცხვი შეკრიბა და მიიღო 30. რა რიცხვს მიიღებდა კატო თუ ამ რიცხვებს ერთმანეთზე გაამრავლებდა?

ა) 241 ბ) 225 გ) 221 დ) 143

დავალება ფასდება 3 ქულით

2. რომელიღაც სამნიშნა ლუწი რიცხვი გაყვეს 8-ზე და მიიღეს ნაშთი 4. რისი ტოლია ნაშთი თუ ამ სამნიშნა რიცხვის მომდევნოს მომდევნო რიცხვს გავყოფთ 8-ზე?

ა) 5 ბ) 3 გ) 6 დ) 4

დავალებები ფასდება 5 ქულით

3. ნანიკომ დაწერა ყველა ორნიშნა რიცხვი, რომელიც იყოფა როგორც 4-ზე ისე 6-ზე. რამდენი რიცხვი დაწერა ნანიკომ?

ა) 5 ბ) 6 გ) 8 დ) 7

4. მაგიდაზე ასი კალამი დევს. მოსწავლეს შეუძლია აიღოს 4 ან 5 კალამი. ყველაზე მეტი რამდენი მოსწავლე აიღებს 5 კალამს თუ მაგიდაზე არც ერთი კალამი არ დარჩება?

ა) 17 ბ) 18 გ) 12 დ) 16

დავალებები ფასდება 7 ქულით

5. ოთხი ერთნაირი ნამცხვარი 60 ლარი ღირს. ოთხ ერთნაირ ნამცხვარსა და ორ ტორტში 100 ლარი გადაიხადეს. რამდენ ლარს გადაიხდიან 8 ნამცხვარსა და 6 ტორტში?

ა) 200 ლარი ბ) 120 ლარი გ) 240 ლარი დ) 260 ლარი

6. მილიონს გამოაკლეს 111, რისი ტოლია მიღებული რიცხვის ჯამი?

ა) 30 ბ) 52 გ) 46 დ) 53

7. ქარხანაში მუშაობა იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება საღამოს 7 საათზე. ამ ხნის განმავლობაში მუშები ისვენებენ ორჯერ 45 წუთი. რამდენი საათის განმავლობაში მუშაობენ მუშები?

ა) 8 სთ ბ) 6 სთ. 30 წთ გ) 7 სთ დ) 7 სთ 30 წთ

